



## **მიიღე პორტუგალიური ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში**

ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (Polytechnic Institute of Braganca, Portugal) თანამშრომლობა BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის ერთდროულად ორი დიპლომის მოპოვების საშუალებას იძლევა და პორტუგალიაში ბაკალავრიატის ბოლო სასწავლო წლის გატარებას გულისხმობს.

ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაარსდა 1983 წელს, ის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და მოწინავე ტექნიკური სასწავლებელია. ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტს აქვს 100-ზე მეტი სასწავლო პროგრამა, მათ შორის ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

ბადადი [ბმულზე](#) და მიიღე მეტი ინფორმაცია ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტის ოფიციალური ვებგვერდიდან.



**პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა:**

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს შესაბამისი პროგრამით არანაკლებ 60 კრედიტის (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში კრედიტის) დაგროვება.

**გაცვლითი პროგრამის განხორციელების ადგილი:** პორტუგალია, ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (Polytechnic Institute of Braganca, Portugal)

**სწავლების ენა:** ინგლისური;

**სწავლების ხანგრძლივობა:** 1 წელი;

პროგრამის საფასური: 2650 ლარი, დამატებით 1350\* ევრო მეოთხე წელი.

\*შესაძლებელია დაკორექტირდეს პარტნიორი დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად

**დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:**

**international@btu.edu.ge**